899.962.1(09)
მ-178

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

მაკა მაისურაძე

# მიხეილ ქვლივიძის შემოქმედება

10. 01. 01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი რევაზ მიშველაძე
ფილოლგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. სოსო სიგუა
ფილოლგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10. 01. 10)

2. სალომე კაპანაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი (10. 01. 01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის „27" თებერვალს „14" საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P. 10.01. №5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.
ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის „27" „იანვარს"

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. /ნ. ტაბიძე/

– 1915 –

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. მ. ქვლივიძის პოეტური მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი მოვლენაა მე-20 საუკუნის 50–60-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი ქართველ პოეტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო როგორც კრიტიკის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. იგი, როგორც პოეტი, მკაფიოდ გამორჩეული ინდივიდუალობის მქონე შემოქმედია, რომელმაც ეროვნულ პოეტურ ფესვებთან მძაფრი გენეტიკური კავშირის შედეგად ახალი ფერებით გაამდიდრა ქართული ლირიკის მრავალფეროვანი სამყარო.

კვლევის საგანი და მიზანი. ნაშრომის მიზანია, მოახდინოს მიხეილ ქვლივიძის შემოქმედების მეცნიერული შესწავლა-გაანალიზება, შექმნას ცნობილი პოეტის შემოქმედებითი პორტრეტი, გაარკვიოს ლიტერატურულ პროცესებში მისი მონაწილეობის მასშტაბი, განსაზღვროს მ. ქვლივიძის პოეზიის ძირითადი ასპექტები იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებენ პოეტის ლექსებს.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები.** ნარკვევი მიხეილ ქვლივიძის შემოქმედების მეცნიერული და სისტემატური შესწავლის პირველი მცდელობაა, რაც გამოიხატა ავტორის შემოქმედების იდეურ-მხატვრული ანალიზითა და მსოფლმხედველობრივი ასპექტების, ასევე მხატვრული სპეციფიკის წარმოჩენით.

**ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციაზე.** ნარკვევი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე. აქვე შედგა მისი განხილვა-აპრობაცია 2003 წლის 27 ნოემბერს (რეზენზენტი – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. მაია ძიგუა). გამოკვლევის ცალკეული ნაწილები განხილულ იქნა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.** ნაშრომი წინასიტყვაობის, შესავლისა და დასკვნის გარდა, მოიცავს შემდეგ ძირითად თავებს: თავი I – მიხეილ ქვლივიძის პოეზია; თავი II – მიხეილ ქვლივიძის თარგმანები; თავი III – მიხეილ ქვლივიძის პოეზიის მხატვრული თავისებურებები.

ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 144 გვერდს